



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა პრეზუმი

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. ნოემბრის 15

№ 22

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა რ ს ი:

სოციალურ-კულტურული წყობილება

210. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შესახებ.

211. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ.

212. „სამეცნიერო მომუშავეთა ნომენკლატურისა და სამეცნიერო თანამდებობათა დაჭერის

წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის მე-8 მუხლის დამატების შესახებ.

213. საბედაგოგო კადრების გამოყენების შესახებ.

214. სკოლის პოლიტექნიზაციის შესახებ.

215. მუშათა და კოლმეურნეთა განათლების სისტემის შესახებ.

216. მხარეთმცოდნეობის საქმის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

217. უალრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ.

218. საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს დებულების 34 და 36 მუხლების შეცვლისა და 37 მუხლის გაუქმების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

210. დადგენილება ცაკ და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 12-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შესახებ (სრ.საქ.ცენ.აღმ. კ.ტისა და საქ. სახ. კ-თა საბჭოს „მოამბე“, 1925 წ. 1-2 №-ი) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ.დ.ა. გ. ქურდაძე.

1932 წ. აგვისტოს 22.

ტფლისი.

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. ზოგადი დებულება.

1. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ეწყობა და მოქმედობს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 34 და 48 მუხლებისა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე 9 №-ი, მუხ. 92) და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146) თანახმად.

II. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ამოცანები და გამგებლობის საგნები.

2. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ამოცანას შეადგენს, კულტურული რევოლუციის ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში პროლეტარული საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმის საფუძველზე, მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საერთოდ კულტურული მშენებლობა და აგრეთვე გააუწიოს, მთავრობის დირექტივების შესაბამისად, იდეოლოგიური და პროგრამულ-მეთოდური ხელმძღვანელობა სამეცნიერო, სასწავლო, პოლიტიკურ-განმანათლებელ, საზნატერო და სალიტერატურო დაწესებულებათ, იმის მიუხედავად, თუ რომელ უწყებას ეკუთვნიან ეს დაწესებულებანი.

3. დასახული ამოცანების განსახორციელებლად განათლების სახალხო კომისარიატი:

ა) ამუშავებს კულტურული რევოლუციის ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში პროლეტარიატისა და მთელი მშრომელი მოსახლეობის საორგანიზაციო მონაწილეობის ძირითად ფორმებს;

ბ) ამუშავებს ძირითად დოკუმენტებს, რომლებითაც განისაზღვრება სახალხო განათლების ორგანოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოქმედების პოლიტიკური, საწარმოო-ეკონომიკური და სასწავლო-მეთოდური შინაარსი;

გ) ანხორციელებს უმაღლესი სასწავლებლებისა, მუშათა ფაკულტეტებისა და ტექნიკუმების ქსელის და სხვა ორგანოების საგამგებლო სამეცნიერო, სამხატვრო, სამუხეუფო და საგამომცემლო მუშაობის გენერალურ და პერსპექტიულ დაგეგმვას და აწარმოებს უშუალოდ მისი ქვემდებარე დაწესებულებების ოპერატიულ დაგეგმვას;

დ) ანხორციელებს ყველა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლის, სამხატვრო, სალიტერატურო და სხვა მასურ-პოლიტიკურ-განმანათლებელი დაწესებულების პროგრამულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას, იმის მიუხედავად, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის ეს დაწესებულება;

ე) ათანხმებს სახალხო კომისარიატებისა, სამეურნეო ორგანოებისა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საგანმანათლებლო მუშაობას ერთიანი კულტურული გეგმის საფუძველზე;

ვ) ამყარებს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემას და საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის აგების საერთო პრინციპებს;

ზ) აძლევს თანხმობას დირექტორებისა, სასწავლო ნაწილების გამგეებისა, კათედრების და განყოფილებების გამგეების დანიშვნაზე ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში, იმის მიუხედავად, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის ეს სასწავლებელი და ტექნიკუმი;

თ) აწესებს სამეცნიერო კვალიფიკაციას და ამტკიცებს თანამდებობაზე ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებს, დოცენტებს და მასწავლებლებს, იმის მიუხედავად, თუ ვის გამგებლობაშია ეს სასწავლებელი;

ი) აწარმოებს კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელი კადრებისა და აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პროფესორთა და მასწავლებელთა შედგენილობის აღნუსხვას და განაწილებას;

კ) ამუშავებს და ამტკიცებს ტიპურ სასწავლო გეგმებს და პროგრამებს ყველა უმაღლესი, საშუალო და დაწყებითი სასწავლებლისათვის;

ლ) იხილავს და ამტკიცებს სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა გეგმებს და აგრეთვე იხილავს ასპირანტების მომზადების პროგრამებს;

მ) ადგენს სწავლების ვადებს ყველა ტიპისა და უწყების სასწავლებლისათვის;

ნ) ადგენს სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების და კომპლექტების წესებს;

ო) ამუშავებს მეთოდურ და სასწავლო საშუალებათა და აგრეთვე სასწავლო წიგნებისა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის ძირითად პრინციპებს;

პ) აწესებს, შრომის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციებთან ერთად, პედაგოგებისა და მოსწავლეების სამუშაო დროისა და დატვირთვის ნორმებს და განათლების დარგში მომუშავეთა შრომის სასყიდლის ნორმებს;

ჟ) აწესებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სასწავლო და სამეურნეო გაწყობილობის ნორმებს;

რ) ანხორციელებს განათლებისა და ხელოვნების დარგში მომუშავეების და საბჭოთა და პარტიული მომუშავეების კადრების მომზადებისა და გარდაზადების საერთო ხელმძღვანელობას;

ს) უწევს ინსტრუქტირებას და ინსპექტირებას სახალხო განათლების სა-რაიონო და საქალაქო განყოფილებათ;

ტ) აწყობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საორგანიზაციო-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს სხვა სახალხო კომისარიატებისა და სამეურ-ნეო ორგანოების გამგებლობაში მყოფ სახალხო განათლების დაწესებულებათა მოქმედებისათვის;

უ) აწყობს საერთო ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა განათლებისათვის და აგრეთვე დახმარებას უწევს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს კულტურული მშენებლო-ბის მოწყობის საქმეში;

ფ) ადგენს და არდგენს დასამტკიცებლად განათლების სახალხო კომისა-რიატის ხარჯთაღრიცხვას და ხელმძღვანელობას უწევს სახალხო განათლების განყოფილებათა ხარჯთაღრიცხვების შედგენას;

ქ) აწყობს როგორც შინაგან, ისე უცხოეთის ინფორმაციას სახალხო გა-ნათლების სფეროში;

ღ) ამუშავებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის დაგეგმვისა და ინსპექტირების მეთოდოლოგიას;

ყ) ადგენს ბავშვთა დაცვისა, ქუჩის ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციისა და ბავშვების მიერ კანონიერების დარღვევასთან ბრძოლის ერთიან გეგმას;

შ) რაზმავს ორგანიზაციულად საზოგადოებრიობას საბავშვო, სასკოლო, საგანმანათლებლო და სხვა კულტურულ დაწესებულებათა სასანიტარო-საჰიგიენო პირობების გასაუმჯობესებლად და ცდილობს, რათა ჯანმრთელობის ორგანოებმა გააუმჯობესონ სამედიკო-სასანიტარო ზედამხედველობა და სამედიცინო დახმა-რება საბავშვო და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებისათვის.

III. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

4. განათლების სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სახალხო კომისარი. განათლების სახალხო კომისართან იმყოფება მისი მოადგილე და კოლეგია.

5. განათლების სახალხო კომისარიატის შინაგან სტრუქტურას ამყარებს განათლების სახალხო კომისარი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექ-ციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

6. განათლების სახალხო კომისარიატის ცალკეულ სასტრუქტურო დანაწი-ლებათა დებულებებს ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

7. განათლების სახალხო კომისარიატთან შეიძლება არსებობდნენ საუწყება-თაშორისო კომისიები, კომიტეტები და საბჭოები, რომელნიც ეწყობიან და მოქმედობენ სპეციალურ დადგენილებათა თანახმად.

8. განათლების სახალხო კომისარიატის ქვემდებარე ადგილობრივი ორგანოები არიან სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებანი.

211. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთან არსებული ადგენის:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოთდევნილი დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთან არსებული ადგენის 20-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 215) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ. ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. აგვისტოს 10.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ.

1. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო ორგანოა, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიან პროგრამულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სასწავლებლებს, კულტურულ-განმანათლებელ და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებს, იმის მიუხედავად, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის დაწესებულება, მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის უზრუნველყოფისა, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის საჭირო კადრების მომზადებისა და კულტურული რევოლუციის განხორციელების მიზნით.

2. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, თავისი მიზნების განსახორციელებლად, აერთიანებს სათანადო საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგების გამოჩენილ მოღვაწეებს.

3. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მოაწყოს საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-საკვლევო პრობლემების დამუშავება;

ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას სახალხო განათლების ერთიანი სისტემა;

გ) დაამყაროს ტიპური სასწავლო გეგმების და პროგრამების შესადგენად საერთო პრინციპები როგორც თეორიული, ისე საწარმოო სწავლების ხაზით ყველა ტიპის სასწავლებლისა და სათანადო საკვლეო დაწესებულებისათვის;

დ) დაამტკიცოს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის საერთო გეგმები;

ე) განსაზღვროს ძირითადი სამეცნიერო მოთხოვნები უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების ასპირანტურით დაკომპლექტების სფეროში და დაამტკიცოს სამეცნიერო მომუშავეთა მომზადების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძვლები;

ვ) შეიმუშაოს დებულებანი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების სამეცნიერო თანამდებობათა შესახებ და ზედმიწევნით განსაზღვროს ამ თანამდებობათა შესაფერი მოთხოვნები;

ზ) შეარჩიოს და დაამტკიცოს სამეცნიერო მომუშავენი პროფესორისა და დოცენტის თანამდებობაზე (უმაღლეს სასწავლებლებში) და სამეცნიერო ხელმძღვანელისა და უფროსი სამეცნიერო თანამშრომლის თანამდებობაზე (სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში), აგრეთვე გადასინჯოს ხოლმე მათი პირადი შედგენილობა—გადაყენებისა და ნომენკლატურის ამაღლება-დადაბლების უფლებით;

თ) დააწესოს სწავლების ვადები სხვადასხვა ტიპის პროფესიონალურ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის;

ი) განიხილოს და დაამტკიცოს სწავლების სისტემები და მეთოდები;

კ) დაამტკიცოს პროგრამები უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის;

ლ) გასცეს დირექტივები სასწავლო წიგნებისა და სასწავლო საშუალებათა შედგენისათვის და აგრეთვე განიხილოს გამოსაცემი ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა;

მ) აწარმოოს არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა რეორგანიზაციისა და ახალთა მშენებლობის დაპროექტება და აგრეთვე განიხილოს უწყებებისა და ორგანიზაციების ამგვარი პროექტები და მისცეს მათ შესახებ დასკვნები;

ნ) განიხილოს და წარუდგინოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას დასამტკიცებლად რესპუბლიკის კულტურული მშენებლობის ერთიანი გეგმა;

ო) განახორციელოს სისტემატიური კონტროლი პროფესიონალურ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის და

აგრეთვე უწყებებისა და სამეურნეო შენაერთების პროგრამულ-მეთოდური მუშაობისათვის.

4. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დადგენილებანი მისი გამგებლობის საგნების სფეროში სავალდებულოა ყველა სათანადო სასწავლებლისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, იმის მიუხედავად, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის ეს სასწავლებელი, და აგრეთვე ყველა იმ სახალხო კომისარიატისა, სამეურნეო შენაერთისა და სხვა დაწესებულებისათვის, რომლის გამგებლობაშიაც ესა თუ ის სასწავლებელია.

5. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შედგენილობაში მოეწყობა შემდეგი სექციები:

ა) სამეცნიერო-საპედაგოგიო სექცია, რომელიც ამუშავებს პედაგოგიურ და პროგრამულ-მეთოდურ საკითხებს ბავშვთა და მოზარდთა სწავლებისათვის ყოველი სახის სკოლასა და დაწესებულებაში, საერთო სწავლა-განათლების დაწესებულებებში მოზრდილთათვის, პედაგოგიურ და სამხატვრო დაწესებულებებში; აგრეთვე ამუშავებს სხვა სასწავლებლებში სწავლების მეთოდის საერთო საკითხებს;

ბ) სოციალურ-ეკონომიკური სექცია, რომელიც ამუშავებს პროგრამებისა და მეთოდის საკითხებს საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ისტორიული დისციპლინების სწავლებისათვის პროფესიონალურ-ტექნიკური სწავლა-განათლების ყველა ტიპის სკოლებში;

გ) სამეცნიერო-სატექნიკო სექცია, რომელიც ამუშავებს მეთოდის საკითხებს ინდუსტრიალურ-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და ინდუსტრიალურ-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო დისციპლინების სწავლებისათვის როგორც სპეციალურ, ისე არასპეციალურ სასწავლებლებში; აგრეთვე ამუშავებს ტექნიკურ ცოდნათა გავრცელებისათვის საჭირო მასური მუშაობის მეთოდის საკითხებს;

დ) საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო სექცია, რომელიც ამუშავებს მეთოდთა საკითხებს ქიმიური, ფიზიკო-მათემატიკური, გეოგრაფო-გეოლოგიური და სხვა სათანადო საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო დისციპლინების სწავლებისათვის პოლიტიკური და პროფტექნიკური სწავლა-განათლების ყველა ტიპის სკოლებში;

ე) მედიკო-ბიოლოგიური სექცია, რომელიც ამუშავებს მეთოდის საკითხებს სამედიცინო და ბიოლოგიური განათლებისა და სამედიცინო და ბიოლოგიური დისციპლინის სწავლებისათვის პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლებლებში;

ვ) ეროვნულ უმცირესობათა განათლების სექცია, რომელიც ამუშავებს საკითხებს არაქართულ ენის ხალხთა შორის საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდისათვის.

6. ცალკეული პროგრამულ-მეთოდური საკითხების დასამუშავებლად, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზედიუმის და სექციათა ბიუროს დადგენილებით,

შეიძლება მოეწყოს, თუ საჭირო იქნება, დროებითი კომისიები (ბრიგადები) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრთაგან და პერსონალურად მიწვეული სამეურნეო ორგანოების სპეციალისტთა და მომუშავეთაგან.

7. სექციების მიერ დამუშავებული საკითხები საბოლოო დამტკიცებისათვის წარედგინება სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმს.

8. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სათავეში დგას პრეზიდიუმი შემდეგი შედგენილობით: განათლების სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეა; თავმჯდომარის მოადგილენი; სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სექციების თავმჯდომარენი; სწავლული მდივანი; საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა განათლების კომიტეტის თავმჯდომარე; მუდმივი წარმომადგენლნი: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, საქართველოს სსრ მიწათმოქმედებისა, ფინანსთა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა, სსრკ-ის შიშვე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა (საქართველოს სსრ-ში და ა/კუსრ-ში) სამმართველოებისა, ამიერკავკასიის რკინისგზების დირექციისა, საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრისა, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის—ცეკავშირის—გამგეობისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, განათლების დარგში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სამეცნიერო მომუშავეთა სექციის ცენტრალური ბიუროსი; აგრეთვე გამოჩენილი სამეცნიერო მომუშავენი და პრაქტიკული მოღვაწენი, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

9. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პერსონალურად დასანიშნავ წევრებს განათლების სახალხო კომისარიატი დანიშნავს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენით:

ა) სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ თეორეტიკოსთაგან და პრაქტიკულ მომუშავეთაგან;

ბ) დაინტერესებული სახალხო კომისარიატებისა და სათანადო სამეურნეო შენაერთების სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოებისა, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ცალკეული სექციების მუშაობით უშუალოდ დაინტერესიბულ პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და სამეცნიერო მომუშავეთა სექციის ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელთაგან;

გ) ცალკეული საფაბრიკო-საქარხნო საწარმოს და საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და საადმინისტრაციო-სატექნიკო პერსონალის წარმომადგენელთაგან და ცალკეული დიდი კოლექტიური მეურნეობების წარმომადგენელთაგან.

10. თვითეული სექციის სათავეში დგას სექციის ბიურო შემდეგი შედგენილობით: ა) თავმჯდომარე და ბიუროს წევრები, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრთაგან; ბ) განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სპეციალო-

ბათა ცალკეული ჯგუფების ხაზით მოწყობილი სათანადო მეთოდური კომისიების თავმჯდომარეები.

11. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თვითეული წევრი მოვალეა აწარმოოს განსაზღვრული მუშაობა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ან სათანადო სექციის ბიუროს დავალებების მიხედვით.

12. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს და ყველა მისი სექციის პლენარული სხდომა მოიწვევა სესიებად წელიწადში ორჯერ მაინც.

13. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს მოიწვევს საბჭოს თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის დროს, მისი მოადგილე, თვეში ორჯერ მაინც.

14. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრებისათვის შეიძლება დაწესებული იქნეს სათანადო გასამრჯელო როგორც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისა, ისე სხდომაზე დასწრებისათვის.

15. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესანახად საჭირო ხარჯი გატარებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში.

16. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ-ის ღერბის გამოსახულებით და შემდეგი წარწერით: „საქართველოს სსრ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“.

212. დადგენილება ს.ბ.ს.

„სამეცნიერო მომუშავეთა ნომენკლატურისა და სამეცნიერო თანამდებობათა დაქერის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის მე-8 მუხლის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 4-ის დადგენილებას „სამეცნიერო მომუშავეთა ნომენკლატურისა და სამეცნიერო თანამდებობათა დაქერის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 176). დაემატოს მე-8 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„8. ამა დადგენილების მე-3, 4 და 6 მუხლებში აღნიშნული ფუნქციები ცენტრალური საკვალიფიკაციო კომისიისა შეენარჩუნება ამ კომისიის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მოწყობამდე“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. აგვისტოს 10.

ტფილისი.

213. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საპედაგოგო კადრების გამოყენების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა მოქალაქე, რომელსაც დამთავრებული აქვს 1930, 1931 და 1932 წლებში უმაღლესი და საშუალო საპედაგოგო სასწავლებელი (საპედაგოგო ინსტიტუტი, ტექნიკუმი და კურსები, შრომის სკოლა-ათწლედო საპედაგოგო განხრით), აგრეთვე რომელიც გაათავებს ამ სასწავლებლებს შემდეგში, ვალდებულია იმუშაოს თავის სპეციალობაში პედაგოგად არა ნაკლებ ორი წლისა.

2. იმ პირს, რომელმაც დაამთავრა საპედაგოგო ტექნიკუმი, შრომის სკოლა-ათწლედო საპედაგოგო განხრით და საპედაგოგო კურსები, უფლება აქვს განაგრძოს სწავლა უმაღლეს (სტაციონარულ) საპედაგოგო სასწავლებელში უკეთეს მას აქვს თავის სპეციალობაში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა.

ის პირი, რომელსაც აქვს პედაგოგად მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა და განსაკუთრებული დამსახურება პოლიტექნიკური სკოლის ორგანიზაციისა და განმტკიცების საქმეში, მიიღება საპედაგოგო ინსტიტუტში შესასვლელი გამოცდების გარეშე, ხოლო დანარჩენი მომუშავენი მიიღებიან საერთო საფუძველზე, მუშებისათვის დადგენილი წესების თანახმად.

3. საშუალო და უმაღლესი საპედაგოგო სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირთ ჰგზავნის სამუშაოზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ცენტრალიზებული წესით.

ამ პირების სხვა სამუშაოზე გადაყვანა ან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით.

4. არც ერთ უწყებას, დაწესებულებას და ორგანიზაციას არა აქვს უფლება მიიღოს სამუშაოზე ის პირი, რომელმაც გაათავა უმაღლესი და საშუალო საპედაგოგო სასწავლებელი 1930, 1931 და 1932 წლებში და აგრეთვე, რომელიც გაათავებს ამ სასწავლებელს შემდეგში, უკეთეს ეს პირი არ წარმოადგენს განათლების სახალხო კომისარიატის ან მისი ადგილობრივი ორგანოს ცნობას იმის შესახებ, რომ იგი საპედაგოგო მუშაობისაგან განთავისუფლებულია.

ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო სამსახურის ვადის გასვლამდე პედაგოგიური მუშაობისაგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, უკეთეს მომუშავეს ექნება ექიმთა კომისიის სათანადო დასკვნა, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში — მარტოოდენ განათლების სახალხო კომისარის სპეციალური ნებართვით.

5. აკრძალულია პედაგოგების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება და დატვირთვა ისეთი მუშაობით (თუნდაც საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობით), რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს კულტურულ-განმა-

ნათლებელ საქმიანობასთან და რომელიც იწვევს მომუშავეს, როგორც პედაგოგის, დეკვალიფიკაციას.

6. უმაღლესი და საშუალო საპედაგოგო სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირს უფლება აქვს მიიღოს სამუშაო ხელფასი დაწესებული განაკვეთების მიხედვით მისი სამუშაოზე წარგზავნის მომენტიდან და აგრეთვე დღიური გასამრჯელო და საგზაო ფული შრომის კანონთა კოდექსის თანახმად.

ამ თანხებს გაიღებს განათლების სახალხო კომისარიატი იმ უწყების, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თუ საქალაქო საბჭოს ხარჯით, რომლის განკარგულებაშია მომუშავე იგზავნება.

განათლების სახალხო კომისარიატსა და უწყებებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს შორის ამ საგანზე ანგარიშგასწორების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

7. საპედაგოგო მუშაობისათვის წარგზავნილი პირნი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ადგილობრივი საბჭოების მიერ საცხოვრებელი სადგომებით და კომუნალური მომსახურებით (გათბობა, განათება):

ა) პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებელნი—ადგილობრივი საბჭოს ხარჯით;

ბ) დანარჩენი მომუშავენი—სასყიდლის გადახდევინებით, ამა თუ იმ ადგილას დაწესებული ტარიფის მიხედვით, ხოლო იმ ადგილას, სადაც საცხოვრებელი სადგომების და კომუნალური მომსახურების სასყიდელი დატარიფებული არ არის,—უახლოესი ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას მომქმედი ტარიფის მიხედვით.

8. საპედაგოგო პერსონალის შრომა დანორმებულ უნდა იქნეს.

პედაგოგების მუშაობის ნორმებს და დატვირთვას, კვალიფიკაციის ასამღლებლად საჭირო თავისუფალი დროის გათვალისწინებით (დაუსწრებელი სწავლება, თვითგანათლების წრეები და სხვ.), რაც ექვს დღეში ორ საღამოზე ნაკლები არ უნდა იყოს, განსაზღვრავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

9. ამა დადგენილების 1, 3, 4 და 5 მუხლების დარღვევა გამოიწვევს დამნაშავე პირთათვის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61¹ და 115 მუხლების თანახმად.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაზე გამოსცეს, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია საპედაგოგო ძალების აღნუსხვისა და განაწილების წესის შესახებ. იმავე ორგანოებმა გამოსცენ და გამოაქვეყნონ არა უგვიანეს 1932 წლის სექტემბრის 15-ისა პედაგოგების მუშაობის და დატვირთვის ნორმები.

დავეალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთი-
კადის ვადაზე გამოსცეს ამა დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული
ინსტრუქცია.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მ.დ.ა. ვ. ქურდაძე.

1932 წ. სექტემბრის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტს“ 277 №-ში 1932 წ. სექტემბრის 10.

214. დადგენილება ს.კ.ს.

სკოლების პოლიტექნიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ სკოლების
მუშაობა თავისი თვისებით ჯერ კიდევ არ შეესაბამება მასური განათლების სკო-
ლების სწრაფი რაოდენობითი ზრდის მიზნებებს, ჯერ კიდევ არ დამდგარა
სრული გარდატეხა სკოლების ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში, რაც ენება
მოსწავლე ახალგაზრდობის ძირითადი სისტემატიზირებული ცოდნის აღჭურვას;
აღმოფხვრილი არ არის ჯერ კიდევ სკოლის მუშაობაში სამეცნიერო თეორიის
შეუფასებლობისა და თეორიული სწავლების პრაქტიკისათვის დაქვემდებარე-
ბის რეციდივები; განხორციელებული არ არის ღირექტივა სასწავლო და საზო-
გადოებრივ-საწარმოო მუშაობის იმგვარად შეთავსების შესახებ, რომ საზოგა-
დოებრივ-საწარმოო მუშაობა მთლად ექვემდებარებოდეს სკოლის სწავლა-
აღზრდის მიზნებს; სკოლების წარმოებაზე მიმავრებას ხშირად მარტოოდენ ფორ-
მალური ხასიათი აქვს; პირველი და მეორე საფეხურის სკოლების უმეტესი ნა-
წილი უზრუნველყოფილი არ არის სამუშაო ოთახებით და სახელოსნოებით;
არადაამაკმაყოფილებელია სამეურნეო სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო
ორგანიზაციების მონაწილეობა სკოლის პოლიტექნიზაციის საქმეში; უზრუნველ-
ყოფილი არ არის საჭირო მატერიალური სახსრით სკოლების პოლიტექნიკური
გაწყობილობით და სასწავლო საშუალებებით მომარაგების საქმე.

ზემოაღნიშნულის გამო და პირველი და მეორე საფეხურის სკოლების პო-
ლიტექნიზაციისათვის მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად, საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დავეალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—სა-
მეურნეო სახალხო კომისარიატებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან, საქართ-
ველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და საქართველოს ალკკ ცენტრა-
ლურ კომიტეტთან ერთად:

ა) ჩაატაროს 1932 წ. სექტემბრის 25-დღე სკოლათა და საწარმოთა შორის
დადებული ხელშეკრულებების შემოწმება, სკოლების მიმავრება ღიდრონ სო-

ცილისტურ საწარმოებზე (ფაბრიკები, ქარხნები, სამ წაწარმო-სატრაქტორო სა-
დგურები, საბჭოთა მეურნეობები, კოლექტიური მეურნეობები) და ახალი ხელ-
შეკრულებების დადება, თანაც მუშებისა, კოლმეურნეებისა და აგრო-ტექნიკური
ძალების დახმარების ფართოდ გამოყენებით;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებების საფუძველზე მოსწავლეებისათვის,
პირველ ყოვლისა მე-7 და მე-6 ჯგუფებისათვის, მუშათა ადგილები საწარმოში
და აგრეთვე გამოიყენოს ეს ადგილები სასწავლო გეგმებთან და პროგრამებთან
შეფარდებით;

გ) უზრუნველყოს 1932/33 სასწავლო წლის განმავლობაში სამუშაო ოთა-
ხებით პირველი საფეხურის სკოლების 50%, ხოლო სახელოსნოებით—მეორე
საფეხურის სკოლების 60%.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს წარ-
მოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის
სექტემბრის 5-დე ზემოაღნიშნული მუშაობის რაიონობითი ხაზით განხორციელე-
ბის გეგმა.

3. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს და სა-
მეურნეო ორგანიზაციას—გამოყოს მიმდინარე წლის სექტემბრის 10-დე წარ-
მოებებზე ზედმეტი ან არაგამოსადეგი იარაღი და გაწყობილობა და გადასცეს
განათლების ორგანოებს სკოლების სამუშაო ოთახებისა და სახელოსნოების მო-
საწყობად და შესავსებად, და გაითვალისწინოს თავის გეგმაში სკოლების სამუ-
შაო ოთახებისა და სახელოსნოების ნედლეულით მომარაგება.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა 1933 წ. იანვრის 1-დე საქართველოს
სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მოწყობილ იქ-
ნეს სასკოლო პოლიტექნიკური გაწყობილობის (იარაღი და ინსტრუმენტები
სამუშაო ოთახებში, სახელოსნოებში და მიწის ნაკვეთებზე მუშაობისათვის) მწარ-
მოებელი ტრესტი.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომი-
სარიატს—წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ.
ოქტომბრის 1-დე აღნიშნული ტრესტის მოწყობის გეგმა და შეიმუშაოს სკო-
ლის პოლიტექნიკური გაწყობილობის დასამზადებლად ტექნიკუმებისა, საფაბრიკო-
საქარხნო შეგირდობის სკოლებისა და მეორე საფეხურის სკოლების სახელოს-
ნოების გამოყენების შესაძლებლობის საკითხი.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსე-
ბულ და ფონდირებული საშენი მასალის გამწვანებელ კომისიას—უზრუნველყოს
საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მომარაგება სასკოლო
ავეჯუელობის დასამზადებლად საჭირო მასალით (ხე-ტყე, ლურსმანი, საღურგლე
წებო და სხვა მისთ.), ხოლო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისა-
რიატმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მასალის სისწორით განაწილება მის
სახელოსნოთა ქსელზე; თანაც უნდა დაამყაროს კონტროლი ამ მასალის პირდა-
პირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—შეუკვეთოს მიმდინარე წლის სექტემბრის 5-დღე საწარმოო ორგანიზაციებს პოლიტექნიკური გაწყობილობის დამზადება—კომპლექტებისა და სტანდარტების განსაზღვრით.

7. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ მიმდინარე წლის ოქტომბრის 1-დღე ყველა სკოლა მიწის ნაკვეთებით და მოაწყონ ამ ნაკვეთებზე სკოლების სასწავლო მეურნეობანი.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს, სამეურნეო სახალხო კომისარიატებისა, სამეურნეო ორგანიზაციებისა და საქართველოს სსრ ტრაქტორცენტრის მონაწილეობით, 1932-33 სასწავლო წლის განმავლობაში საწარმოო გარდამზადება არა ნაკლებ პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთა 80%-ისა.

პოლიტექნიკური შრომისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საჭირო ინსტრუქტორების მომზადებისათვის 1932-33 სასწავლო წლის დასაწყისიდან გახსნილ იქნეს სასტაციონარო წლიური კურსები.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გახსნას 1933 წლის განმავლობაში ტფილისში საბავშვო პოლიტექნიკური შრომის ინსტიტუტი, ხოლო რაიონებში—არა ნაკლებ 5 პოლიტექნიკური მუზეუმისა.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტექნიზმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების შესამუშავებლად და სკოლების გამოცდილების შესასწავლად—1933 წელს შეიქმნას სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ბაზისი სამეცნიერო-საკვლევო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებით და ამ მუშაობაში პედაგოგიური ინსტიტუტისა, მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტისა, პედოლოგიური დაწესებულებებისა და მარქსისტ-პედაგოგების საზოგადოების ჩაბმით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ 1933 წლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხაზით მატერიალური სახსარი სკოლის პოლიტექნიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—სისტემატიურად შეამოწმოს ამა დადგენილების აღსრულება და პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის და სადისციპლინო წესით ამა დადგენილების აღსრულებლობაში დამნაშავე პირებისა.

12. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ. ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. აგვისტოს 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 204 №-ში 1932 წ. სექტემბრის 2.

215. დადგენილება ს.კ.ს.

მუშათა და კოლმეურნეთა განათლების სისტემის შესახებ.

მეორე ხუთწლედის ძირითადი პოლიტიკური ამოცანის განხორციელება, ე. ი. კაპიტალისტური ელემენტების და, საერთოდ, კლასების საბოლოო ლიკვიდაცია და ჩვენი ქვეყნის მთლად მშრომელი მოსახლეობის სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად გადაქცევა, მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ახალი ტექნიკური ბაზისის შექმნის საფუძველზე, განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი სამეურნეო კადრების მიერ ტექნიკის დაუფლებისა, მუშათაგან და გლეხთაგან საკუთარი ტექნიკური ინტელიგენციის ახალი კადრების შექმნისა და მთლად მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლების* საქმესთან.

სხვადასხვა საფეხურის სასწავლო პროგრამების ერთმანეთთან დაუკავშირებლობისა და არასაკმარისი პოლიტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლების გამო, ამჟამად არსებული მუშათა და კოლმეურნეთა განათლების არამტკიცე ფორმებში ჩამოყალიბებული რგოლები როდი უზრუნველყოფს ამ ამოცანების აღსრულებას; სოციალისტური რეკონსტრუქციის შემდგომი ზრდა, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით აგებული სოციალისტური მრეწველობის გიგანტების ახალი ქსელი მოითხოვს აუცილებლად პოლიტექნიკის შთანერგვას, მშრომელთაგან მოწინავე ტექნიკის თეორიისა და პრაქტიკის დაუფლებას, თანადროულ წარმოების საფუძვლების გაღრმავებულ ცოდნას და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ძირითად მიღწევათა შეთვისებას.

ამისდაშესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ამყარებს მუშათა და კოლმეურნეთა განათლების ერთიან სისტემას, რაც შეიცავს კადრების მომზადების ყველა სახეს, ისე, რომ მუშები და კოლმეურნენი წარმოებას არ მოსწყდნენ; სისტემა შესდგება შემდეგი რგოლებისაგან:

ა) წარმოებაში შემყვანი კურსები, რომლებსაც მიზნად აქვს გააცნონ მუშას და კოლმეურნეს ტექნიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფერო და ამა თუ იმ საწარმოს (ფაბრიკა, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა და სხვ.) იარაღი და წარმოების მეთოდები; სწავლება ამ კურსებზე გაგრძელდება 10-დან 20 მეცადინეობამდე;

ბ) საწარმოო-საპოლიტექნიკო კურსები წარმოებაზე და აგროტექნიკური კურსები კოლექტიურ მეურნეობაში; სწავლება ამ კურსებზე გაგრძელდება ერთ წელიწადს; კურსებმა უნდა აამაღლოს მუშისა და კოლმეურნის კვალიფიკაცია და მისცეს მათ საერთო განათლება 1-ლი საფეხურის სკოლის (ოთხწლედის) ფარგლებში;

გ) მუშათა ტექნიკური სკოლა წარმოებაზე და აგროტექნიკური სკოლა კოლექტიურ მეურნეობაში; სწავლება ამ სკოლაში გაგრძელდება 2—2¹/₂ წელიწადს; სკოლამ, სათანადო კვალიფიკაციის დაუფლების გარდა, უნდა მისცეს

მოსწავლეთ აგრეთვე საერთო პოლიტიკური ცოდნა შეიძლიანი სკოლის წესდებით.

ამ სისტემის თვითეული რგოლი დამთავრებულად ჩაითვლება და სამივე რგოლის გავლა აძლევს მოსწავლეს საჭირო ცოდნას ტექნიკუმში განათლების განსაგრძობად.

3. მუშათა და კოლმეურნეთა განათლების ამ სისტემის ბაზისზე აგებულია მუშათა და კოლმეურნეთა ტექნიკუმი, რომელშიაც სწავლების ვადა 3 წელიწადია, საშუალო ტექნიკური პერსონალის მოსამზადებლად.

4. იმ მუშებისათვის, რომელთაც უმიღლეს ტექნიკურ სასწავლებელში სწავლებისათვის საჭირო საერთო განათლების ხასიათის ცოდნა არ აქვთ, მოეწყობა მუშათა ფაკულტეტები სწავლების ოთხწლიანი ვადით.

5. კადრების მომზადების სამუშაოს რაც შეიძლება უკეთესად მოწყობისათვის მუშათა განათლების ყველა რგოლი (კურსები, სკოლები, საფაბრიკო-საქარხნო შევირდობის სკოლები და ტექნიკუმები), რაც ამ სისტემის საფუძველზე მოქმედობს, გაერთიანდება საწარმოს ერთ მთლიან მუშათა და კოლმეურნეთა კომბინატად (დიდ წარმოებაში, საბჭოთა მეურნეობაში და კოლექტიურ მეურნეობაში).

6. სახალხო განათლების ორგანოების მიერ მცირე საწარმოს, საბჭოთა მეურნეობისა და კოლექტიური მეურნეობის მუშების სწავლებით მოსაცავად მოეწყობა სადარგათაშორისო კურსები, სკოლები, ტექნიკუმები და სასწავლო კომბინატები—სამეურნეო ორგანოებს შორის ურთიერთ ვალდებულებათა შესახებ დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

ესევე სადარგათაშორისო რგოლები და კომბინატები მოიცავენ აგრეთვე არაორგანიზებულ მოსახლეობას.

7. მუშათა და კოლმეურნეთა განათლების სკოლების ქსელის შესანახი ხარჯები ეკისრება სამეურნეო და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს (ტრესტებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და სხვ.).

8. რათა სწავლებით მოცულ იქნენ მცირე კოლექტიური მეურნეობების წევრები და არაორგანიზებული მოსახლეობა, აგრო-ტექნიკური კურსების შესანახად გადადებულ სახსარში ჩაირიცხება სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებების სათანადო სახსარი.

9. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ეკისრება—განახორციელოს მუშათა და კოლმეურნეთა განათლების მთელი სისტემის ერთიანი საპროგრამო-სამეთოდო ხელმძღვანელობა.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე მუშათა და კოლმეურნეთა განათლების ყველა საფეხურის სასწავლო გეგმები და პროგრამები, ხოლო საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას—უზრუნველყოს მუშათა და კოლმეურნეთა განათლების მთელი ქსელი სასწავლო წიგნებით და სასწავლო საშუალებებით.

11. მიენდოს ყველა იმ უწყებას და ცენტრალურ დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს მუშებისა, კოლმეურნეებისა და ტექნიკური კადრების მომზადებას, მისცეს ორი დეკადის ვადაზე თავის ადგილობრივ ორგანოებს და სამეურნეო შენაერთებს დირექტივები არსებული კურსებისა და სკოლების რეორგანიზაციის შესახებ ამა დადგენილების საფუძველზე და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების და სამრეწველო-საფინანსო გეგმების ფარგლებში—ისეთი ვარაუდით, რომ ეს რეორგანიზაცია ფაქტიურად დამთავრებულ იქნეს 1932 წ. ოქტომბრის 1-თვის.

12. განათლების სახალხო კომისარიატმა, სათანადო უწყებებთან და სამეურნეო შენაერთებთან ერთად (სსრკ-ის შიგნით მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საკოლმეურნეო ცენტრი და სხვ.) უნდა დაიმუშაოს 1932-33 სასწავლო წლისთვის მუშათა და კოლმეურნეთა განათლების ქსელი და კონტინგენტი, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებისა და სამრეწველო-საფინანსო გეგმების კვალობაზე გადადებული სახსრის ანგარიშში მიღებით.

13. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, უნდა მისცეს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს სათანადო დირექტივები.

14. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა, ამა დადგენილების თანახმად, უნდა გამოსცეს ინსტრუქცია მუშათა განათლებისათვის არსებული სკოლების რეორგანიზაციისა და მუშათა და კოლმეურნეთა განათლების სისტემის თვითეული საფეხურის მუშაობის შინაარსის შესახებ.

15. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. აგვისტოს 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 1932 წ. 234 №-ში, ოქტომბრის 8.

216. დადგენილება ს.კ.ს.

მხარეთმცოდნეობის საქმის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია აყენებს ჩვენს წინაშე ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის მაქსიმალურად განვითარების საკითხს.

მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის განვითარების მსვლელობის შესწავლა და კლასობრივი ბრძოლის განვითარების შესწავლა, რაც ამ რეკონსტრუქ-

ქციას თან ახლავს, სამრეწველო ძალების და ბუნებრივი სიმდიდრის, ვერძოდ, ენერგეტიკული რესურსების გამოკვლევა, კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებისა, ახალი კულტურების გავრცელებისა, ახალი საექსპორტო საგნების გამოკვებისა, შრომის ორგანიზაციისა და შემოსავლის განაწილებისა და მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხების შესწავლა, მეორე ხუთწლედის გეგმის შედგენა და აღსრულება და მეცნიერებაში კლასობრივად მტრული იდეოლოგიის გამოქვადგენა—აი აღნიშნული სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შინაარსი.

ყველა ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმულ იქნებიან მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასები, ღარიბი და საშუალო გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია.

საბჭოთა მხარეთმცოდნეობა მშრომელი მასების ზემოაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ჩაბმის ერთ-ერთი სახეა, მათი სოციალისტური მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა.

აღნიშნავს რა, რომ მხარეთმცოდნეობის საზოგადოებანი საქართველოს სსრ-ში უჯრუჯერობით მხოლოდ აქა-იქ არსებობენ, რომ არ არის ახალი მეთოდებით მომუშავე პირთა სათანადო კადრი, რომ მხარეთმცოდნეობის საზოგადოებათა მუშაობას შემთხვევითი და დილეტანტური ხასიათი აქვს და იგი ორგანიზაციულად არ არის გამოყენებული სოციალისტური მშენებლობის საქმეში, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მხარეთმცოდნეობის მნიშვნელობა, რომ მხარეთმცოდნეობის საზოგადოებებმა ვერ ჩააბეს და ვერ გამოიყენეს თავიანთ მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივა, ხოლო სამეცნიერო საზოგადოებრიობამ, განსაკუთრებით მარქსისტულ-ლენინურმა კადრებმა საკმარისი ყურადღება ვერ გამოიჩინეს მხარეთმცოდნეობის საკითხებისადმი, სოციალისტური მშენებლობის გაშლილ ფრონტზე პარტიის გენერალური ხაზის გასატარებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგვის:

1. დამყარებულ იქნეს საქართველოს სსრ მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციების სტრუქტურის შემდგომი სისტემა:

ა) მხარეთმცოდნეობის უჯრედები საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, სკოლებსა და დაწესებულებებში; ამ უჯრედების მუშაობა გაერთიანდება და წარიმართება კონფერენციების მოწვევის საშუალებით;

ბ) მხარეთმცოდნეობის რესპუბლიკანური (ავტონომიური რესპუბლიკების), საოლქო (ავტონომიური ოლქის) და სარაიონო ბიუროები სახალხო განათლების ორგანოებთან;

გ) მხარეთმცოდნეობის ცენტრალური ბიურო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან სახელმწიფო, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს სსრ-ში მხარეთმცოდნეობის მუშაობის შეთანხმებისა და დაგეგმვისათვის პერიოდულად მოიწვევა კონფერენციები მხარეთმცოდნეობის ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

მხარეთმცოდნეობის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუროების დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

2. მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციების მუშაობა მოეწყოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) მხარეთმცოდნეობის მუშაობის ნამდვილად შეთანხმება სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ გეგმებთან და აქტუალურ ამოცანებთან თვითეულ რაიონში, საწარმოში, საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.;

ბ) მხარეთმცოდნეობის მუშაობაში მუშების, კოლმეურნეების, კომკავშირელების, პიონერების, საბჭოთა ინტელიგენციის, ტურისტთა აქტივის და მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმვა.

3. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციების მუშაობის ადგილობრივ საგეგმო-და სამეურნეო ორგანიზაციებთან შეთანხმების მიზნით დააკისრონ მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციებს კონკრეტული ამოცანები ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამორკვევის და შესწავლის საქმეში და სათანადო შემთხვევაში აღმოუჩინონ მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციებს მატერიალური დახმარება.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, როგორც მშრომელთა ინიციატივის ორგანოებს, იხმარონ ღონისძიებანი რაიონში მხარეთმცოდნეობის მუშაობის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთმცოდნეობის მუშაობის დაყენებას ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში და ჩამორჩენილ მთიან რაიონებში, სადაც მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციებმა, საწარმოო ძალთა და ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლის ამოცანებთან ერთად, უნდა გაშალონ მუშაობა კულტურული რევოლუციის განსახორციელებლად ყოფა-ცხოვრების ჩამორჩენილ ფორმებთან ბრძოლაში.

5. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს გააძლიეროს მხარეთმცოდნეობის მოძრაობის ხელმძღვანელობა განათლების ორგანოების საშუალებით როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ და განახორციელოს ღონისძიებათა სისტემა მხარეთმცოდნეობის მუშაობაში სამეცნიერო, სასწავლო და პოლიტიკურ-განმანათლებელი დაწესებულებების ჩაბმისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, კერძოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს, მონაწილეობა მიალებინონ თავიანთ მუშაობაში მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციებს და გამოყონ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ხუთწლედის თემები, რომელიც მოითხოვს მასურ დაკვირვებას და გამოცდილებას ადგილობრივ და რომლის დამუშავებაც შეუძლიანთ მხარეთმცოდნეობის ადგილობრივ ორგანიზაციებს საკუთარი ძალებით, აგრეთვე გამოყონ მუდმივი წარმომადგენელნი მხარეთმცოდნეობის ბიუროს სათანადო სექტორში აქტიური მუშაობის საწარმოებლად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო სავეგმო კომისიას სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დავეგმვის ღონისძიებათა გატარების დროს გაითვალისწინოს სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა და მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციათა მუშაობის შეთანხმება.

8. ეთნოგოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ახალგაზრდა ლენინელთა კომინისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს გამოსცენ დირექტივები პროფესიონალურ, კომკავშირულ და პიონერთა ორგანიზაციების მხარეთმცოდნეობის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

9. დაევალოს მხარეთმცოდნეობის ცენტრალურ ბიუროს, კავკასიის წითელდროშიანი არმიის შტაბთან ერთად, დაამუშაოს ღონისძიებანი მხარეთმცოდნეობის მუშაობაში წითელარმიელთა მასების ჩაბმისათვის.

10. დაევალოს მხარეთმცოდნეობის ცენტრალურ ბიუროს, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას და საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებას შეიმუშაონ ურთიერთ თანამშრომლობის ფორმები და ღონისძიებანი მშრომელი მასების ჩასამხელად ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლის საქმეში.

11. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი მხარეთმცოდნეობის მომუშავეთა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად;

ბ) დაუთმოს მხარეთმცოდნეობის კურსს სავალდებულო საათები სათანადო ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში.

12. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს—განავითაროს სასკოლო-მხარეთმცოდნეობის მუშაობა, როგორც შრომის სკოლის პოლიტექნიზაციის ერთ-ერთი ღონისძიება, და დააჩქაროს სასწავლო წიგნების და მხარეთმცოდნეობის მასალის მიხედვით შედგენილი საჭირო სახელმძღვანელოების გამოცემა.

13. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას გააძლიეროს მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურისა და აგრეთვე სამეთოდო სახელმძღვანელოების გამოშვება მუშათა და კოლმეურნეთათვის.

ამავე ორგანიზაციას დაევალოს მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის გამოცემა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სახკინმრეწვეს—მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციების მონაწილეობით გააძლიეროს გამოშვება სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული კინო-ფილმებისა, სადაც ნაჩვენები იქნება სსრ კავშირის ბუნებრივი სიმდიდრენი და მათი როლი და მნიშვნელობა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. აგვისტოს 10.

ტფილისი.

217. დადგენილება ს.კ.ს.

უალრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. უალრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების სავალდებულო მიწოდება სწარმოებს ფასით და უფასოდ.

ეს მიწოდება სწარმოებს წიგნთსაცავებისათვის გამოცემების მიმწოდებელი სპეციალური კოლექტორის მეშვეობით; კოლექტორი არსებობს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობასთან.

2. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა პოლიგრაფიული საწარმო მოვალეა უფასოდ წარუდგინოს სახელმწიფო გამომცემლობასთან არსებულ კოლექტორს, გამომცემლისათვის გადაცემაზე და საჯაროდ გამოშვებამდე, შემდეგი ბეჭდვითი ნაწარმოებების სავალდებულო ცალი, იმისდამიუხედავად, თუ რა ენაზეა ნაწარმოები გამოცემული:

ა) წიგნი, ბროშურა, ჟურნალი, ბულეტენი და სხვა სალიტერატურო გამოცემა, ორ გვერდიანზე მეტი, და აგრეთვე გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული რუკა და გეგმა—33 ცალი, ხოლო, უკეთეს ტირაჟი 500 ცალამდეა—25 ცალი;

ბ) ტფილისის ვაზეთი—26 ცალი;

გ) სხვა ვაზეთი—20 ცალი;

დ) სამუსიკო ნოტები—26 ცალი;

ე) გრაფიკული ნაწარმოები (პლაკატი, სქემა, დიაგრამა, ნახატი, პორტრეტი, საკედლე ცხრილი და სხვა მისთ., აგრეთვე მხატვრული ნახტიანი განცხადება და აფიშა—12 ცალი;

ვ) ფურცლოვანი გამოცემა 1-2 გვერდიანი (განცხადება, აფიშა, ფურცელი, მოწოდება და სხვა მისთ.)—12 ცალი;

ზ) ლიტერატურა უსინათლოთათვის—5 ცალი.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ბეჭდვითი ნაწარმოებების ცალეზიდან წიგნის კოლექტორი ყველა გამოცემის ორ-ორ ცალს წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას.

4. დანარჩენ ცალებს, სახელმწიფო წიგნის პალატაში წარდგენილი ცალეზიდის გარდა, წიგნის კოლექტორი გაანაწილებს შემდეგნაირად:

ა) წიგნი, ბროშურა, ჟურნალი ბულეტენი და სხვა სალიტერატურო გამოცემა, ორ გვერდიანზე მეტი, და აგრეთვე გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული რუკა და გეგმა (მე-2 მუხლის „ა“ პუნ.):

1) ორი ცალი—

საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას;

2) ორი ცალი—

სსრკ-ის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას მოსკოვში;

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას ლენინგრადში;
სრულიად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას ლენინ-
გრადში;

კომუნისტური აკადემიის ბიბლიოთეკას მოსკოვში;
უკრაინის სრულიად სახალხო ბიბლიოთეკას კიევში;
კოროლენკოს სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ხარკოვში;
ბელორუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკას მინსკში;
შუა-აზიის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ტაშკენტში;

3) ერთი ცალი—

საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკას;
საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკას;
საქართველოს სსრ მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიო-
თეკას;

აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას;

სომხეთის სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას;

4) ერთი ცალი, გარდა მცირეტირაჟიანი გამოცემებისა, რაც წიგნის კო-
ლექტორს წარედგინება 25 ცალად,—

საქართველოს სარეგოლუციო მუზეუმის ბიბლიოთეკას;

ტფილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკას;

ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ბიბლიოთეკას;

ზუგდიდის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ბიბლიოთეკას;

აფხაზეთის ავტ. სსრ მუზეუმის ბიბლიოთეკას;

აჭარისტანის ავტ. სსრ ბიბლიოთეკას;

ცხინვალის ცენტრალურ ბიბლიოთეკას;

„26“ სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიო-
თეკას;

ბ) ტფილისის გაზეთი (მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი):

1) ორი ცალი—

ამა მუხლის „ბ“ ლიტერის 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიო-
თეკებს;

2) ერთი ცალი—

ამა მუხლის „ბ“ ლიტერის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;

საქართველოს სსრ სარეგოლუციო მუზეუმის ბიბლიოთეკას;

ბ) სხვა გაზეთი (მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი):

1) ორი ცალი—

საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას;

სსრკ-ის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას მოსკოვში;

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას ლენინგრადში;

2) ერთი ცალი—

ამა მუხლის „ა“ ლიტერის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს, გარდა



იმ ბიბლიოთეკებისა, რომელნიც დასახელებულ არიან ზევით, ამა ლიტერის (ა) მუხლის

1-ლ პუნქტში;

ა) ამა მუხლის „ა“ ლიტერის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;
საქართველოს სსრ სარევიოლუციო მუზეუმის ბიბლიოთეკას;
ბ) სამუსიკო ნოტები (მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი):

1) ორი ცალი—

ა) ამა მუხლის „ა“ ლიტერის 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ბიბლიო-
თეკებს;

2) ერთი ცალი—

ა) ამა მუხლის „ა“ ლიტერის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბიბლიოთეკებს;
ტფილისის სამუსიკო-სადრამო ინსტიტუტის ბიბლიოთეკას;
ბ) გრაფიკული ნაწარმოები (მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი):

1) ორი ცალი—

საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას;
სსრკ-ის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას მოსკოვში;
სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას ლენინგრადში;

2) ერთი ცალი—

სრულიად საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას;
კომუნისტური აკადემიის ბიბლიოთეკას;
საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკას;
საქართველოს სსრ სარევიოლუციო მუზეუმის ბიბლიოთეკას;

3) ფურცლოვანი გამოცემა (მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი):

ა) ამა მუხლის „ე“ ლიტერაში აღნიშნული განაწილების შესაბამისად;
ზ) ლიტერატურა უსინათლოთათვის (მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტი):

ერთი ცალი—

საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას;
სსრკ-ის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას მოსკოვში;
სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას ლენინგრადში.

5. ფასით, სავალდებულო წესისამებრ, მე-6 მუხლში აღნიშნული გამოცე-
მების ცალებიდან თითო ცალი მიეწოდება:

ა) საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე ბიბლიოთეკებს: უნივერსა-
ლური ხასიათისას, რომელნიც შეტანილ არ არიან გამოცემების უფასოდ მიმღებ
წიგნთსაცავთა სიაში, და სპეციალური ხასიათისას—იმ სივების მიხედვით, რასაც
დაადგენს სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეც-
ნიერო და სასწავლო დაწესებულებათა გამგე კომიტეტი;

ბ) რესპუბლიკური მნიშვნელობის ბიბლიოთეკებს: უნივერსალური და
სპეციალური ხასიათისას—იმ სივების მიხედვით, რასაც დაადგენს საქართველოს
სსრ წიგნის პალატა, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან
შეთანხმებით.

6. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა პოლიგრაფიული საწარმო მოვალეა მასთან დაბეჭდილი გამოცემის თვითფული ტირაჟიდან წარუდგინოს სახელმწიფო გამომცემლობასთან არსებულ სპეციალურ კოლექტორს, გამომცემლისათვის გადაცემამდე და საჯაროდ გამოშვებამდე, 200 სავალდებულო ფასიანი ცალი.

სპეციალური კოლექტორი მოვალეა გაუსწორდეს ექვსი თვის განმავლობაში გამომცემლობას გამოცემის ღირებულების კვალობაზე, ჩვეულებრივი საგამომცემლო მონაკლებით, ხოლო არავამოყენებელი ცალები შეუძლიან დაუბრუნოს გამომცემლობას.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც გამოცემა მცირე-ტირაჟიანია, სახელმწიფო წიგნის პალატას შეუძლიან, გამომცემლობასთან შეთანხმებით, შეამციროს უწყებული გამოცემის სავალდებულო ფასიანი ცალების რაოდენობა.

7. სახელმწიფო წიგნის პალატა ხელმძღვანელობას უწყვეს წიგნის კოლექტორის მოქმედებას მის მიერ მიღებული სავალდებულო ცალების თავის დროზე და წესიერად წარმართვის სფეროში.

8. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოს ეკისრება მეთვალყურეობა იქონიოს, რათა პოლიგრაფიულმა საწარმომ არ გასცეს პროდუქცია, ვიდრე იგი არ წარადგენს კოლექტორის ცნობას, რომ სავალდებულო ცალები (ფასიანი და უფასო) მიღებულია, და აგრეთვე ის პროდუქცია, რომელსაც არა აქვს მე-9 მუხლში გათვალისწინებული ნიშნები.

9. კოლექტორის მუშაობის გასაადვილებლად ტფილისში გამოცემული წიგნისა და ბროშურის გარეკანზე და სატიტულო ფურცელზე მოთავსებულ უნდა იქნეს საკლასიფიკაციო ნიშნები (ინდექსი, კეტერის ნიშანი, რუბრიკაცია), ცნობები გამოცემის შესახებ და სხვ., საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად; ამ აღნიშვნებისათვის თვითფული გამოსაცემი წიგნი და ბროშურა, გვერდებად შეკვრის შემდეგ, ხოლო ტირაჟის დაბეჭდვამდე, უნდა წარედგინოს სახელმწიფო წიგნის პალატას.

10. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ დააწესონ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ფარგლებში გამოსული ყველა გამოცემის სავალდებულო ცალების უფასოდ მიწოდება უნივერსალური ბიბლიოთეკებისათვის.

11. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი ყველა გამომცემლობა მოვალეა დააბრონიროს საქართველოს სსრ წიგნის პალატისათვის გამომცემლობის მიერ გამოშვებული ყველა ბეჭდვითი ნაწარმოების ხუფ-ხუთი ცალი უცხოეთის გამოცემებზე გაცვლა-გამოცვლის ფინანსში შესატანად.

ეს ცალები უნდა ინახებოდეს სახელმწიფო წიგნის პალატის განკარგულებად ერთი წლის განმავლობაში გამოცემის გამოსვლის დღიდან და წარედგინოს წიგნის პალატას უფასოდ მისი პირველ მოთხოვნისთანავე.

ბეჭდვითი ნაწარმოების ის ცალები, რომლის შენახვის ერთი წლის ვადა უკვე გავიდა, და აგრეთვე ბრონირების დაწესებამდე (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-15 №-ი, მუხ. 161) გამოსულ ნაწარმოებთა ცალები წარდგენილ უნდა იქნეს წიგნის პალატის მოთხოვნისამებრ იმ შემთხვევაში, უკეთეს გამომცემლობის საწყობებსა თუ მალაზიებში ეს ცალები მოიპოვება.

12. სავალდებულო (ფასიანი და უფასო) ცალების წარუდგენლობა, ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება ამა დადგენილების მე-9 მუხლის დარღვევით და წიგნის პალატის გაცვლა-გამოცვლის ფონდისათვის საჭირო ცალების ერთი წლის განმავლობაში შეუნახველობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 205 მუხლის თანახმად.

13. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

14. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიითურთ.

15. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

1) 1924 წ. მარტის 8-ისა „ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების სახალხო კომისარიატში სავალდებულო წარდგენის შესახებ“ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 10);

2) 1929 წ. თებერვლის 11-ისა „საქართველოს წიგნის პალატაში წარსადგენ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების სავალდებულო ცალთა რაოდენობის გადიდების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 54);

3) 1929 წ. ივლისის 2-ისა „საქართველოს სსრ წიგნის პალატისათვის ლიტერატურის მიწოდების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-15 №-ი, მუხ. 161).

16. მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ახალი დებულების პროექტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივლისის 23.

ტფილისი.

218. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს დებულების 34 და 36 მუხლების შეცვლისა და 37 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს დებულების (კან. კრ. 1931 წ. 16 №-ი, მუხ. 183) 34 და 36 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„34. საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს გამგეს უფლება აქვს გადასწყვიტოს ყველა საკითხი, რაც საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგებლობას ექვემდებარება“.

„36. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგესთან განწესებულია, როგორც სათათბირო ორგანო, ცენტრალური საარქივო სამმართველოს კოლეგია; კოლეგიის შედგენილობაში შედიან ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგე, მისი მოადგილე და წევრები, რომელთაც დანიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგის წარდგენით.

უკეთუ კოლეგია საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, მას შეუძლიან განასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, ხოლო კოლეგია გადაწყვეტილების შესრულებას ვერ შეაჩერებს. ასეთივე უფლება ეკუთვნის კოლეგიის ცალკეულ წევრებს“.

II. იმავე დებულების 37 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მ. დ. ა. გ. ქურდაძე.

1932 წ. აგვისტოს 3.

ტფილისი.